საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030132667742515

№ 01-335/ო **03 / დეკემბერი / 2015 წ.**

ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალთან (BMJ) თანამშრომლობის განვითარებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ

ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალთან (BMJ) თანამშრომლობის განვითარებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის მიზნით, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი (შემდგომში - საკოორდინაციო ჯგუფი) შემდგომი შემადგენლობით:

ა) ვალერი კვარაცხელია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) მარინა დარახველიძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

გ) ნათია ნოღაიდელი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

დ) ამირან გამყრელიძე - საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ე) პაატა იმნაძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე (სამეცნიერო დარგში), საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ვ) ელენე გოძიაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის აპარატის მთავარი სპეციალისტი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ზ) დათა ჩახუნაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

თ) თეიმურაზ პირველაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ი) ხათუნა ზალდასტანიშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის სერტიფიცირების სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

კ) ზაზა ბოხუა - სსიპ ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ლ) სერგო თაბაგარი - შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი.

2. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში სათათბირო ხმით მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს **(DTRA)** წარმომადგენლებს.

3. საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის ფორმატი და მუშაობისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფის მიერ.

4. საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში ჯგუფის ხელმძღვანელის უფლებამოვალეობის შესრულება დაევალოს საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი მინისტრის მოადგილის ბატონ ვალერი კვარაცხელიას მოვალეობის შემსრულებელ შესაბამის მინისტრის მოადგილეს.

5. საკოორდინაციო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციის შესრულება დაეკისროს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო